

## სკოპინგის დასკვნა N36

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (N2 ნავმისადგომის რეკონსტრუქცია და N3 ნავმისადგომის გამაგრება);

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგური“ (ს/კ 415095033 );

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. ფოთი;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 23.04.2024;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ:** შპს „გამა კონსალტინგი“;

### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ მიერ, წარმოდგენილია ქ. ფოთში, არსებული ახალი საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (N2 ნავმისადგომის რეკონსტრუქცია და N3 ნავმისადგომის გამაგრება) სკოპინგის ანგარიში.

2016 წლის 22 ნოემბერს ქ. ფოთში შპს „პეის ტერმინალის“ ტერიტორიისა და ახალი ნავსადგურის აკვატორიის ფარგლებში ნავმისადგომის მშენებლობა - რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N59 (ბრძანება N618). „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე 2021 წლის 23 მარტს აღნიშნულ საქმიანობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-324). 2022 წლის 4 თებერვლის წერილის მიხედვით, შპს „პეის ტერმინალს“ შეეცვალა სახელწოდება და გახდა შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგური“.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ პროექტის I ეტაპი მოიცავდა, სამანევრო და საექსპლუატაციო ტერიტორიის ფსკერის დაღრმავებას 13 მ სიღრმემდე, ორი პირსის რეაბილიტაციას, ამწეს რელსების მოწყობას, 260 მ სიგრძის N1 ნავმისადგომის მოწყობას, კონტეინერის შესანახად და დასახარისხებლად საჭირო ტერიტორიის, ასევე ნაყარი და შერეული ტვირთებისთვის 21 000 მ<sup>2</sup> სასაწყობო სივრცის მოწყობას და სანიაღვრე წყლების შეგროვებისა და დამუშავების სისტემის მოწყობას (2 სალექარი ნავთობდამჭერთ).

საპროექტო არეალს (შპს "ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის" ტერიტორიას) ესაზღვრება სხვადასხვა პროფილის ობიექტები, მათ შორის: სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" საკუთრებაში არსებული ნავთობპროდუქტების საცავები და სხვა კონსტრუქციები. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, რომ საპროექტო ტერიტორიასა და

უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის დაშორების მანძილი შეადგენს დაახლოებით 600 მეტრს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ობიექტი ახორციელებს სხვადასხვა სახეობის ნედლეულის იმპორტ-ექსპორტის პროცედურებს. ძირითად ნედლეულს წარმოადგენს: **კარბამიდი, გოგირდი, ფეროსილიკომანგანუმი, ალუმინის შოთები და ფოლადის რულონები**. ობიექტის ტექნოლოგიურ ციკლში გამოიყენება ნედლეულის ექსპორტისა და იმპორტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, კერძოდ: სატრანსპორტო ვაგონები, სადაც ნედლეულის გადმოტვირთვა ხორციელდება ამწეების, ტვირთსატაციანი საკიდარების და განმზღენის მეშვეობით. ტექნოლოგიური პროცესი ასევე ითვალისწინებს N1 ნავმისადგომის ექსპლუატაციასაც, სადაც ყველა სახის ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვა ხორციელდება ნავმისადგომზე დამონტაჟებული ორი პორტალური ამწის გამოყენებით, შესაბამისი საცვლელი ტვირთსატაცი მოწყობილობებით. ტვირთის გადატანა ნავმისადგომზე ხდება კაუჭით აღჭურვილი ე.წ. „Sennebogen“-ის პნევმატური ამწეებით ან გრეიფერული სატაციით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, არსებული მდგომარეობით ახალი საზღვაო ნავსადგურის შემადგენლობაში შედის შემდეგი ძირითადი ჰიდრაულიკური კონსტრუქციები: N1 ნავმისადგომი (სიგრძე - 260 მ, სიღრმე კორდონთან - 12.5 მ, პორტიდან 0); ე.წ. „ეკონომიკური სანაპირო“ (სიგრძე 137 მ); მოლო/პირსი 1 (სიგრძე 80 მ, სიგანე 190 მ) და მოლო/პირსი 2 (სიგრძე 236 მ, სიგანე 17.5 მ).

**სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია კარბამიდის გადაზიდვისთვის ნავმისადგომი N2-ის მოწყობა-რეკონსტრუქცია, ასევე ფსკერდარმავებითი სამუშაოებისა და ახალი საწყობიდან დახურული კონვეიერით კარბამიდის ჩატვირთვის ოპერაციების განხორციელება.**

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მოცემულია ინფორმაცია უმოქმედობის, საპროექტო ობიექტების ადგილმდებარეობისა და ტექნოლოგიური პროცესების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციით, ალტერნატივის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობების გათვალისწინებით.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილება გულისხმობს ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის საკუთრებაში მყოფი არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოებას დასავლეთისკენ, რაც მოიცავს **N2 ნავმისადგომის რეკონსტრუქციას**. ცვლილებები ძირითადად განხორციელდება პირსი/მოლო 2-ის შიდა მხარეს, რაც ითვალისწინებს 1200 ტ/სთ წარმადობის სტაციონარული დახურული ტიპის კონვეიერის სისტემისა და საკომუნიკაციო საშუალებების მოწყობას, ასევე **N3 ნავმისადგომის გამაგრებას**. პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია N2 ნავმისადგომში, დიდი ტვირთამწეობის გემების მომსახურების

მიზნით (ზომით 190 x 28 მ), ფსკერის დაღრმავება 12,5 მ-მდე. დასაღრმავებელი ტერიტორიის მიახლოებითი ფართობი შეადგენს 30 000 მ<sup>2</sup>-ს, ხოლო ამოსაღები მასალის მოცულობა იქნება - 200 000 მ<sup>3</sup> მდე. აღნიშნული მასალის გატანა მოხდება ნავსადგურიდან 2 კმ-ის დაშორებით, წყალქვეშა კანიონში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფსკერდაღრმავებითი სამუშაოები წარიმართება გრეიფერიანი დრეგერის მეთოდის გამოყენებით. ექსპლუატაციის პროცესში იწარმოებს ტერიტორიის „ბათიმეტრული კონტროლი“ და პერიოდული დრეგირების სამუშაოები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაღრმავებითი სამუშაოები განხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, კარბამიდით გემების დატვირთვა მოხდება დახურული საწყობიდან კონვეიერული სისტემის საშუალებით, რომელიც დაუკავშირდება N2 ნავმისადგომში მდებარე გემებს. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად, ნავმისადგომ N2-ზე შესაძლებელი იქნება 40 000 ტონა ტვირთამწეობის გემის ოპერირება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ასევე ითვალისწინებს, **ნავმისადგომი N3-ის** ნაგებობის წინ 1:2 საფეხურიანი ფერდის მოწყობას ფსკერდაღრმავებითი სამუშაოების დროს, ნაგებობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. გამაგრების მიზნით, ფერდი დაიფარება ხრეშის ფენით და მოეწყობა 4 ერთეული საყრდენი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 18 თვე. სამშენებლო სამუშაოები არ საჭიროებს ბანაკის მოწყობას, ან კომპანიის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის გარეთ რაიმე სივრცის გამოყენებას. პროექტის საჭიროებისთვის გამოყენებული იქნება ტერიტორიაზე დროებით განთავსებული გადასატანი კონსტრუქციები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე არსებობს წყალმომარაგების (ტექნიკური და სასმელი) სისტემა. სამუშაო უბნებზე სასმელად გამოყენებული იქნება ბუტილირებული წყალი. სამეურნეო ფეკალური წყლების მართვის მიზნით, გამოყენებული იქნება ბიოტუალეტები. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ჩამდინარე წყლების პირდაპირი ჩაშვება ზღვაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წყლის/სელიდემენტების დაბინძურება, დაგეგმილი არ არის.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება, სამშენებლო მანქანების მუშაობასთან და გადაადგილებასთან, ასევე ინერტული მასალის შემოტანა-განთავსება-გამოყენებასთან. ატმოსფერულ ჰაერში ზემოქმედების პრევენციის მიზნით, სკოპინგის

ანგარიშში წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, რაც გულისხმობს მანქანა-დანადგარების სათანადო ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას, მტვრის კონტროლს (მორწყვა), ჰაერის ხარისხის მონიტორინგს და სხვ. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების პროცესში მოსალოდნელია ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება, ზემოქმედების მასშტაბი დამოკიდებული იქნება ერთდროულად მომუშავე ტექნიკის რაოდენობაზე, სამუშაო რეჟიმზე და ხანგრძლივობაზე. სამშენებლო სამუშაოები წარიმართება დღის საათებში. მშენებლობის პერიოდში (განსაკუთრებით ფსკერდაღრმავებითი სამუშაოების პროცესში) მოსალოდნელია ხმაურის გავრცელება წყლის ქვეშ, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს შავი ზღვის ფაუნაზე. წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული სახის ზემოქმედებები შეფასებული იქნება გზმ-ის ეტაპზე.

ფაუნის წარმომადგენლებიდან საკვლევ არეალში დაფიქსირდა შავი ძერა (*Milvus migrans*), თეთრკუდა ფსოვი (*Haliaeetus albicilla*), მიმინო (*Accipiter nisus*), ქორი (*Accipiter gentilis*), ჩვეულებრივი კაკაჩა (*Buteo buteo*), კირკიტა (*Falco tinnunculus*), თვალშავი (*Falco vespertinus*), დიდი კრონშენკი (*Numenius arquata*), ჩხიკვი (*Garrulus glandarius*), შავი ყვავი (*Corvus corone*), თეთრი ბოლოქანქარა (*Motacilla alba*), კავკასიური ღაჭო (*Lanius collurio*), ტბის თოლია (*Larus ridibundus*), პატარა თოლია (*Larus minutus*), სახლის ბელურა (*Passer domesticus*), შავი შაშვი (*Turdus merula*), ქალაქის მერცხალი (*Delichon urbica*), ნამგალა (*Apus apus*). გვხვდებოდა აგრეთვე ყორანი (*Corvus corax*), დიდი ჩვამა (*Phalacrocorax carbo*), გვრიტი (*Streptopelia turtur*). წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ფრინველებისთვის შავი ზღვის სანაპირო ზოლის მნიშვნელოვნების მიუხედავად, უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე გადამფრენ და მობუდარ ფრინველთათვის მნიშვნელოვან ჰაბიტატს არ წარმოადგენს, ტერიტორიაზე მიმდებარე სამრეწველო პროცესების გამო. საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში, წარმოდგენილი ინფორმაციით, კოლხეთის ეროვნული პარკი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 6 კმ-ით, ასევე საპროექტო არეალიდან 3,5 კმ-ის დაშორებით, მდებარეობს რამსარის კონვენციით დაცული ჭარბტენიანი ტერიტორიები;

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ზომიერად მიმზიდველია თევზისთვის და ზღვის ძუძუმწოვრებისთვის, რომლებიც იკვებებიან თევზებით. ზღვის ღორები და დელფინები აქტიურად იყენებდნენ ფოთის ახალი პორტისა და მის მიმდებარე ტერიტორიას. ამასთან, საპროექტო აკვატორიაში წარმოებულ კვლევათა შედეგების მიხედვით დაფიქსირებულ იქნა თევზების 25 სახეობა. წყლის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ზღვაში ჩასატარებელ სამუშაოებზე. წარმოდგენილი ინფორმაციით,

გზმ-ის ეტაპზე შეფასებული იქნება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება და წარმოდგენილი იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 23 მაისს ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ფოთის მუნიციპალიტეტის, შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“, შპს „გამა კონსალტინგის“ ა(ა)იპ „ფოთელები საკუთარი უფლებებისთვის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე პირთა მხრიდან, ძირითადად ყურადღება გამახვილდა პროექტის მშენებლობა ექსპლუატაციით ხმაურსა და ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე, მათ შორის კუმულაციურ ზემოქმედებაზე, რაზეც შპს „გამა კონსალტინგისა“ და შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს ატმოსფერულ ჰაერსა და ხმაურზე, ასევე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით „ფოთელები საკუთარი უფლებებისთვის“ და ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილ იქნა ერთობლივი შენიშვნები/მოსაზრებები, რაც ძირითადად ეხებოდა სკოპინგის ანგარიშში ალტერნატიული ვარიანტების, მათ შორის უმოქმედობის ალტერნატივისა და კუმულაციური ზემოქმედების შესაბამისი შეფასებისა და განხილვის აუცილებლობას, ასევე ნაყარი ტვირთების დასაწყობების შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენას, ტექნოლოგიური პროცესის დეტალურ აღწერასა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილი ცვლილებების განხილვის მნიშვნელობას, ჰაერისა და ხმაურის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებას და რელევანტურობას არსებულ მდგომარეობასთან, ასევე აკვატორიის ფსკერის დაღრმავების, მათ შორის პერიოდული დრეგირებისა და ამოღებული (დრეგირებული) მასალის განთავსებას წყალქვეშა კანიონში და აღნიშნულის შედეგად გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებებს. ზემოაღნიშნული შენიშვნები/მოსაზრებები, სკოპინგის დასკვნასთან ერთად, გადაეგზავნება საქმიანობის განმახორციელებელს. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან

დაკავშირებით არსებული რელევანტური და საფუძვლიანი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული და აისახა სკოპინგის დასკვნაში.

სკოპინგის პროცედურის შედეგად, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

#### **გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
  - 2.1 გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;

#### **4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების, ფაქტობრივი მდგომარეობით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობების დეტალური აღწერა (ერთმანეთთან შედარებით);
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების დეტალური აღწერა, განხორციელებული და განსახორციელებელი ღონისძიებების მითითებით;

- დაზუსტებული მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით და რუკაზე ასახვით);
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია, ალტერნატივების შედარებითი ანალიზი შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- მიმდინარე და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების ადგილების აღწერა-დახასიათება, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, ასახული უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი თითოეული ადგილი და ობიექტი (N2 ნავმისადგომი, N3 ნავმისადგომი, ფსკერდაღრმავებითი სამუშაოების განხორციელების ადგილი, წყალქვეშა კანიონი და სხვ.);
- დაზუსტებული მანძილები არსებული და საპროექტო ობიექტებიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით და რუკაზე ასახვით), ასევე ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ (არსებული მდგომარეობით და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით) დეტალური და თანმიმდევრული აღწერა, ასევე ობიექტზე მოწყობილი/არსებული და მოსაწყობი/საპროექტო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიური ობიექტების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია გენ-გეგმაზე დატანით;
- შპს "ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის" ტერიტორიაზე ნედლეულის მადნის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ტრანსპორტირების მარშრუტებისა და გადაადგილების პირობების (მათ შორის, ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი გზის მორწყვის გეგმა-გრაფიკის) მითითებით;
- გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ჩართული და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, არსებული და საპროექტო), ტექნოლოგიური მოწყობილობების შესახებ დეტალური ინფორმაცია (თითოეული ობიექტის ტექნოლოგიური სქემის მითითებით);
- ობიექტის საერთო ტექნოლოგიური სქემის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით). დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი ნედლეულის შემოტანის, დასაწყობებისა და გატანის პირობები (მათ შორის: ინფორმაცია შემოტანილი ნედლეულის რაოდენობის, დროებითი განთავსების პირობებისა და გატანის შესახებ);

- დეტალურად უნდა იქნეს განხილული ფსკერდადრმავებითი სამუშაოების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ დეტალური ინფორმაცია (რუკაზე ასახვით). მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იყოს ტრანსპორტირების (საზღვაო და სახმელეთო) გეგმა-გრაფიკი, ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობები, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამომრავო გზის მორწყვა, მარის გადახურვა, ღამის საათებში (ნედლეულისა და პროდუქციის შემოზიდვა/გაზიდვის) გადაადგილების აკრძალვა. გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, გზმ-ის ანგარიშში განხილული იყოს სამშენებლო სამუშაოებისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესაძლო ალტერნატიული ვარიანტები და დასაბუთებული იქნეს შერჩეული ალტერნატივა;
- ინფორმაცია ობიექტამდე მისასვლელი გზების შესახებ;
- ობიექტის სასმელ-სამეურნეო და საწარმოო წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;
- წყალმომარაგების სისტემის განლაგება და ტექნიკური მონაცემები, მოხმარებული წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია;
- ობიექტზე წარმოქმნილი წყლების მართვის საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ (სანიაღვრე სისტემის სექმატურ ნახაზზე ასახვით), ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია სანიაღვრე წყლების შეკრებისა და დამუშავების სისტემის შესახებ (გენ-გეგმაზე დატანილი), მათ შორის, სალექარისა და ნავთობდამჭერის მოცულობებისა და ეფექტურობის შესახებ;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ. ამასთან, განხილული იქნეს საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- ობიექტზე ქიმიური პროდუქტების განთავსების პირობების დაცვისა და უსაფრთხოების ნორმების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ტვირთების გემებიდან გადმოტვირთვისა და გემებში ჩატვირთვის შესახებ დეტალური ინფორმაცია და უსაფრთხოების ნორმები. ტვირთების გადმოტვირთვისა და ჩატვირთვის ტექნოლოგიური ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ნავსადგურში მაღალი ტვირთამწეობის გემების მიღების



პირობებისა და გაჩერების ადგილების შესახებ (რუკაზე ასახვით) დეტალური ინფორმაცია;

- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების, მათ შორის არსებული შენობის სარემონტო, საპროექტო უბნებისა და ობიექტების მოწყობის და სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

#### 4.1. პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- ფსკერდარღვევის პროცესში ამოღებული მასალის რაოდენობისა და მათი მართვის საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტების (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკის ჩამონათვალი და რაოდენობა;
- სამშენებლო მოედნის განთავსების შესახებ ინფორმაცია დაზუსტებული ადგილის მითითებით (GPS კოორდინატების ან/და shp ფაილების მითითებით).

#### 4.2. გზშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- დაზუსტებული ინფორმაცია დრეგირებული მასალის განთავსების ადგილმდებარეობაზე, კოორდინატების და shp ფაილების მითითებით. ასევე, ანგარიშში წარმოდგენილი იყოს დრეგირებული მასალის განთავსებისას, წყლის ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია (განსაკუთრებით ზუთხებზე და ზღვის ძუძუმწოვრებზე) და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და საჭიროებისამებრ საკომპენსაციო ღონისძიებები;
- სკოპინგის ანგარიშში კუმულაციურ ზემოქმედებაზე ინფორმაცია არასრულყოფილია და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის ყველა ეტაპის, მათ შორის ექსპლუატაციის შემდგომი კუმულაციური ზემოქმედება განსაკუთრებით წყლის ბიომრავალფეროვნებაზე. აუცილებელია, ზემოქმედების შეფასების პროცესში ყურადღება გამახვილდეს ბერნის კონვენციით დაცულ შემდეგ სახეობებზე: ავალინა (*Tursiops truncatus*), ზღვის ღორი (*Phocoena phocoena*), აგრეთვე წყალმცურავი და წყალზე

დამოკიდებული, მათ შორის გადამფრენი ფრინველები, რომლებიც წარმოდგენილია ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ ტერიტორიაზე კოლხეთი (GE0000006), სტანდარტული მონაცემთა ფორმის შესაბამისად;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით: „**მიუხედავად იმისა, რომ ფოთის ტერიტორია (ე.ი. საპროექტო უბანი) მდებარეობს ფრინველთა მიგრაციის დერეფანში, ნაკლებად სავარაუდოა, ამ სახეობებმა გამოიყენონ ტერიტორია შესასვენებლად**“. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოცემული უნდა იყოს სათანადო დასაბუთება. ამასთან, ფრინველებზე ზემოქმედების სრულფასოვნად შესაფასებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური კვლევების შედეგები, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ ფრინველთა სახეობებზე, პროექტის განხორციელებით მათზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და საჭიროებისამებრ საკომპენსაციო ღონისძიებებზე.

**5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:**

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, მათ შორის მოცემული უნდა იყოს:
  - მოსალოდნელი ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში;
  - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის მტვრის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი პერიოდულობისა და დასაბუთების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით (ხმელეთზე და ზღვაში) მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, ასევე შავი ზღვის ფსკერზე შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება შავ ზღვასა და ზედაპირული წყლის სხვა ობიექტებზე პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის განხორციელების ფარგლებში, ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან

ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;

- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე, მოცემული უნდა იყოს საჯარო განხილვაზე გამოთქმული და სააგენტოში წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ასევე მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ ინფორმაცია;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის წარმოდგენილი უნდა იყოს კუმულაციური ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადების ჭრილში);
- პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ცვლილებებით განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შემუშავებული **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა** (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);

- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საკმეიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

#### 6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- წარმოდგენილი უნდა იქნეს შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ ტერიტორიის და მის მიმდებარე ობიექტების საკადასტრო კოდები;
- ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური-არაგეგმიური შემოწმებების, გამოვლენილი დარღვევებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების/გონივრული ვადების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს ტალღების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურაზე;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ნავმისადგომ N3-ის გამაგრებითი სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის განხილული უნდა იქნეს გარემოზე მოსალოდნელი საკითხები;
- დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი ხიმინჯებისა და პროექტის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი კონსტრუქციების მოწყობის პროცესი და მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება;
- გზშ-ის ეტაპზე მოცემული უნდა იქნეს წყალქვეშა კანიონის ადგილმდებარეობის Shp ფაილები და GPS კოორდინატები;
- მშენებლობის პროცესში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ფსკერის ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით და დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი საწარმოს ტერიტორიაზე არსებული და მოსაწყობი ობიექტები (გენ-გეგმაზე დატანილი);
- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - ფოთის ნავსადგურის კლუბის ვიზუალური დაცვის არეალში. შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი. კერძოდ: ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში სამშენებლო და სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვას გასცემს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის დაგეგმვისა და განხორციელებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში და წარმოდგენილ იქნეს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია;

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის მშენებლობის საპროექტო ტერიტორია, კვეთს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების #1000873- (შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ-საქართველო“) ლიცენზიის სანიტარიული დაცვის პირველი მკაცრი რეჟიმის ზონას, რომელიც უნდა გადიოდეს გამოსავლიდან არანაკლებ 15 მეტრში. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში - აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე“. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში და წარმოდგენილ იქნეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, N2 ნავმისადგომის მოწყობა-რეკონსტრუქციის ფარგლებში დაგეგმილია, დროებითი ყრილის მოწყობა (50,000 მ<sup>3</sup>) აღნიშნული საკითხი დეტალურად უნდა იყოს განხილული გზშ-ის ანგარიშში;
- **წარმოდგენილი უნდა იყოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების შედეგად, შავი ზღვის წყლის ხარისხსა და ბენტოსზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;**
- ქ. ფოთში შპს „პეის ტერმინალის“ ტერიტორიისა და ახალი ნავსადგურის აკვატორიის ფარგლებში ნავმისადგომის კომპლექსის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ფსკერდარღმავებითი სამუშაოების დროს ამოღებული ტრიბუთილკალას შემცველი ნატანის ტერმინალის კუთვნილ ტერიტორიაზე განთავსება) 2021 წლის 21 ივნისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-898) , რომლის მიხედვით საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ვინაიდან, ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ითვალისწინებს ფსკერდარღმავებითი სამუშაოების წარმოებას, წარმოდგენილი უნდა იყოს ფსკერდარღმავებითი სამუშაოების განხორციელების შედეგად ამოღებული გრუნტის კვლევის შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია (პერიოდულობის მითითებით);

- ზღვის აკვატორიაში ექსკავაციის სამუშაოებისას ამოღებული მასალის მოცულობის და მისი მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალქვეშა კანიონის ტევადობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს მშენებლობისა და ფსკერდაღრმავების პროცესში ნავთობპროდუქტების დაბინძურებული მასის გავრცელების პრევენციის, დაკონსერვების ან/და გაწმენდის შესახებ ინფორმაცია;
- კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში განხილული უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული/საპროექტო ობიექტები, მათ შორის სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური ნავსადგურის პროექტი;
- გზმ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული (შესაბამის გაანგარიშებებზე დაყრდნობით) ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება ხმელეთზე და წყალქვეშ. ასევე გაანგარიშებული უნდა იყოს ხმაურის და ვიბრაციის დონეების გავრცელების რადიუსი და პოტენციური ზემოქმედება შავი ზღვის ზოობენთოსზე;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის (ნავმისადგომის მოწყობა) შესახებ, სსიპ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს პოზიციის/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია (შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია);
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ნავმისადგომი N3-ის გამაგრების ფარგლებში მოსაწყობი კონსტრუქციისა და მისი მდგრადობის შესახებ დასაბუთებული ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიში მოიცავს ტერმინოლოგიურ უზუსტობებს, ტექნიკურ ხარვეზებს და ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის წინადადებებს, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გზმ-ის ანგარიშის შედგენისას;
- იმ შემთხვევაში, თუ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების ფარგლებში დაგეგმილია 2021 წლის 23 მარტს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება N2-324) ძალადაკარგულად გამოცხადება, აღნიშნული მოთხოვნა უნდა აისახოს გზმ-ის ანგარიშში;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა;

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (N2 ნავმისადგომის რეკონსტრუქცია და N3 ნავმისადგომის გამაგრება), **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.